დამტკიცებულია 16.04.2018 №20 ადგილობრივ,

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო განყოფილების დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - სასწავლო უნივერსიტეტი) სამეცნიერო განყოფილება (შემდგომში - განყოფილება) წამოადგენს სასწავლო უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.

2. განყოფილება თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, სასწავლო უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.

3. განყოფილება თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია სასწავლო უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე, ასრულებს კანონით გათვალისწიებულ, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს.

მუხლი 2. განყოფილების სტრუქტურა

სამეცნიერო განყოფილებას ხელმძღვანელობს სამეცნიერო განყოფილების უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით.

მუხლი 3. განყოფილების მიზნები და ამოცანები

სამეცნიერო განყოფილების მიზნები და ამოცანებია:

1. ხარისხსა და შედეგზე ორიენტირებული სამეცნიერო კვლევევის განხორციელების, კვლევითი კომპონენტის და სასწავლო პროცესის ინტეგრაციის ხელშეწყობა;
2. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების ანალიზის საფუძველზე პერიოდული ანგარიშების მომზადება და რექტორისთვის წარდგენა;
3. სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შეფასების პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობა;

4. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობისათვის ზრუნვა;
5. კვლევის კომპონენტის გაძლიერების მიზნით წინადადებების შემუშავება ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურზე

მუხლი 4. სამეცნიერო განყოფილების ფუნქცია

განყოფილების ფუნქციებია:

1. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კოორდინაცია განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში ფაკულტეტის აფილირებული და სხვა აკადემიური/მოწვეული პერსონალის მონაწილეობით.
2. ბიბლიოთეკის სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად პასუხისმგებელია ბიბლიოთეკის სამეცნიერო ლიტერატურით შევსებაზე.
3. ბიბლიოთეკის სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად წარუდგენს ანგარიშს და მოხსენებას ყოველწლიურად სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს ბიბლიოთეკის საქმიანობის შესახებ.
4. წარმოადგენს სამეცნიერო განყოფილებასთან ერთად ბიბლიოთეკას სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთობებში.
5. ბიბლიოთეკაში სამეცნიერო ლიტერატურის შესაბამისობის კონტროლი სილაბუსში მითითებულ ლიტერატურასთან და ლიტერატურის რეგულარულ განახლებასა და შევსებისათვის ზრუნვა ძირითად საგანმანთლებლო ერთეულთან, პროფესორებთან თანამშრომლობით.
6. სასწავლო უნივერსიტეტში სამეცნიერო კონფერენციებისთვის საჭირო ღონისძიებების უზრუნველყოფა.
7. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის წლიური სამეცნიერო შრომების რეგისტრაცია და სამეცნიერო შრომათა კრებულის გამოსაქვეყნებლად მომზადება.
8. აკადემიური კეთილსინდისიერებისთვის ზრუნვა. პლაგიატის წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების უზრუნველყოფა, ჩართულობა შიდა საუნივერსიტეტო და საერთაშორისო დონეზე.
9. საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ სისტემაში (ელსევიერი) უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და პროფესორ-მასწავლებელთა ჩართულობის ხელშეწყობა.

მუხლი 5. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დამტკიცებულია----------

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.უწყვეტი განათლების ცენტრი (შემდგომში - ,,ცენტრი") წარმოადგენს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის (შემდეგში ,,სასწავლო უნივერსიტეტი") დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.

2. ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, სასწავლო უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.

3. ცენტრი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ კანომდებლობის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე.

მუხლი 2. ცენტრის დანიშნულება და საქმიანობის სფერო

1. ცენტრის დანიშნულებას წარმოადგენს, საუნივერსიტეტო და ფართო საზოგადოებას საშუალება მისცეს გამოიყენოს სასწავლო უნივერსიტეტის რესურსები და გამოცდილება პროფესიული და პიროვნული განვითარებისათვის, კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, ახალი პროფესიული უნარების შეძენისათვის ასაკის შეუზღუდავად.

2. ცენტრის საქმიანობის ძირითადი სფეროა უწყვეტი განათლების მიღების (მომზადების/გადამზადების მოკლევადიანი კურსების/პროგრამების, ტრენინგ-კურსების ხელმისაწვდომობის სერვისმომსახურება/ ადმინისტრირება.

3. ცენტრის საქმიანობის მნიშვნელოვანი სფეროა სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის დანერგვის მიზნით სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურების გაწევა.

მუხლი 3. ცენტრის ამოცანები და ფუნქციები

1. ცენტრის ამოცანებია:

ა) ფართო საზოგადოებისთვის უწყვეტი განათლების ცენტრის სერვისების შეთავაზებით სასწავლო უნივერსიტეტის როლისა და მნიშვნელობის გაძლიერება.

ბ)აკადემიური წერის კურსების შეთავაზება ნებისმიერი მსურველისთვის

გ) სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით შესაბამისი კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების/კურსების/სემინარების ორგანიზება.

გ) სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტური სერვისების გაძლიერების ხელშეწყობა სტუდენტისთვის/პროფესიული სტუდენტისთვის მოკლევადიანი სასერტიფიკაციო, მათ შორის კარიერის განვითარებისა და უცხო ენის კურსების დაგეგმვით.

დ) რეგიონში არსებული ფერმერების, აგრობიზნესში ჩართული პირებისა და სტუდენტისთვის/პროფესიული სტუდენტისთვის პროფესიული განვითარების მიზნით საკონსულტაციო მომსახურების დაგეგმვა

ე) ქართულ/ უცხოურ ორგანიზაციებთან, სახელმწიფო/კერძო სტრუქტურებთან თანამშრომლობა და პროექტების მომზადება.

2. ცენტრი ახორციელებს:

ა) სახელმწიფო/კერძო სტრუქტურებთან, ბიზნესის სექტორთან, პროფესიული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა სუბიექტებთან თანამშრომლობით და მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით, უწყვეტი განათლების პროგრამების პრიორიტეტული სფეროების განსაზღვრას და შესაბამისი კურსების/პროგრამების დაგეგმვას.

გ) უწყვეტი განათლების საუნივერსიტეტო პროგრამების შესახებ ფართო საზოგადოებისთვის შესაბამისი საინფორმაციო კამპანიის წარმოებას;

დ) სასწავლო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან და სტრუქტურულ ერთეულებთან მჭიდრო თანამშრომლობას;

ე) საუნივერსიტეტო საზოგადოების ინფორმირებას უწყვეტი განათლების პროგრამებში მათი ჩართვის შესაძლებლობების შესახებ.

მუხლი 4. ცენტრის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

1.ცენტრს ხელმძღვანელობს ცენტრის უფროსი, რომელიც ზედამხედველობს ცენტრის საქმიანობას. ცენტრის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე.

2. ცენტრის უფროსი:

ა) აწვდის ინფორმაციას სტუდენტებს/პროფესიულ სტუდენტებს/ნებისმიერ პირს მომსახურებების მიღების ადგილისა და მომსახურებაზე/კონსულტაციაზე უფლებამოსილი პირის შესახებ :

1. კარიერის დაგეგმვის კურსები - კარიერის განვითარების ცენტრი
2. უცხო ენის კურსები -უცხო ენათა შემსწავლელი ცენტრი
3. საკონსულტაციო მომსახურებები სოფლის მეურნეობის მიმართულებით - პროფესიული პროგრამების განყოფილება/ექსტენციის ცენტრი

4. მოკლევადიანი მომზადების/გადამზადების კურსები - პროფესიული განათლების განვითარების სამსახური
5. სამართლებრივი საკითხები-იურიდიული სამსახური
6. ინდივიდუალური კონსულტაციები შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები
7. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, კონსულტაციის ცხრილები - ფაკულტეტი
8. მობილობა და სტუდენტის სტატუსის აღდგენა/შეჩერება/შეწყვეტა/აკადემიური შვებულება - სასწავლო პროცესის მართვის სამსახური
9. პლაგიატი - სამეცნიერო განყოფილება
10. სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის გამოყენება - უწყვეტი განათლების ცენტრი
11. აკდემიური წერის კურსები-ფაკულტეტი
12. სწავლების მეთოდები - ფაკულტეტი

ბ) უზრუნველყოფს მოკლევადიანი მომზადების/გადამზადების კურსების/პროგრამების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატების გაცემასა და აღრიცხვას.

გ) წარმართავს ცენტრის მუშაობას და განსაზღვრავს ცენტრის საქმიანობის პრიორიტეტებს და პასუხისმგებელია მათ განხორციელებაზე;

დ) იხილავს,ხელს აწერს ცენტრში მომზადებულ დოკუმენტებს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს;

გ) წარმოადგენს ცენტრს მესამე პირებთან ურთიერთობაში.

დ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, სასწავლო უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებსა და მოვალეობებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 5 ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ცენტრის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 4. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი.

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოსკანონმდებლობით დადგენილი წესით.